კვირა, 1917 წ. ღვინობისთვის 15 (28) № 227

ფელიეტონი მესამე

კვირა, 1917 წ. ღვინობისთვის 15 (28) № 227

ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

**რედაქცია**

**საგაზეთო მასალა** უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს **ავტორის** **ვინაობა** და მისამართი. **უპირობოთ** გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. **დაუბეჭდავი** საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

**რედაქცია** **დღეა** დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის **ადრესი:** Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

**კონტორა**

**გაზეთის ფასი** პირველ ენკენისთვიდან წლის დამლეგამდე 12 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. **განცხადების ფასი** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **ხანგრძლივიარო** **განცხადება** თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. **მიხამართავს** **გამოცემა** ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი **ფულიდ** **და** **წერილები**, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. **საჩქარო** **განცხადებანი** უნდა წინადან წერილნილ იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. **კონტორა** **დღეა** დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

**ტელეფონი** **რედაქციისა** **და** **კონტორისა** 15--73

## გაზეთის შინაარსი

### წინა გვერდიდან

ესტლიანდიის სანაპიროებზე გერმანელები დესანტის გადმოსხმას სცდილობენ. პოლონელთა დემოკრატიული საბჭო მოითხოვს დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღდგენას, რომელსაც ზღვასთან უნდა ჰქონდეს გამოსასვლელი. ყრილობამ პოლიტიკური საბჭო აირჩია.—ლიტველები დამფუძნებელ კრებას იწვევენ. მათ კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციას გერმანეთთან კავშირი სასურველად მიაჩნია.—საბჭოების დროებით ორგანიზაციები მუდმივ და ყოველმხრივ ორგანიზაციებად უნდა შეიცვალოს.—კრეისერ „სვეტლანა-"ზე უკრაინიზაციის გამო უკრაინული დროშები აღმართეს.

### წერილებიდან

**მმთაური.** შავი ქვის მრეწველობა.

ARGON. ქუთაისის დარბევა.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის თაობირი.

---

გ. ლომნიძე. მკრთალი იაშმა (ლექსი).

მ. სპირხელი. შიმშილი.

კ. ბაძრაძე. აფთიაქების მუნიციპალიზაცია.

**კორესპონდენცია:** ჯავახეთიდან.

---

გერმანეთის სოც.-დემოკრატია ომის ხანაში.

საქართველოს ეკლესიის გარშემო.

ბუდ-დაწყარნი ქმარი ჩიხვილი (მიშა) და შვილები: ნიკოლოზ (კოლა), ვერა, გიორგი და ილუშა გენკინები წუხარეთით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შათი საყვარელი და დაუვიწყარი

**ცასო (ალექსანდრა) ალექსანდრეს ასულის**

**გენკინის**

მოულოდნელი გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 15 ღვინობისთვეს დილის 10 საათ. ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა წმ. ნინოს სახელოზე (მლვიის შესახვევი № 9).

(2—831—2)

ღვინობისთვის 13 ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**პროკოფი პეტრეს ძე**

**ბორისოვი**

რასაც ეულითოდის მწუხარეთით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მიცვალებულის შვილები: გიორგი და ნინა და ძმისწულები: ნიკოლოზი და გიგუა.

პანაშვიდის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

1—836—1

მწუხარეთისაგან ეულდაეუთქელნი მშობლები ნიკოლოზ კლურაძე და მეუღლე ელენე, ბებია ეფლასიმე, დედა ნინო, მამიდა სოფიო, ბიძია დიმიტრი კლურაძენი, ბაბუა ეფრასინე და ბებია დესპინე ჩიტაიშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 13-ს ღვინობისთვეს, საღამოს 5-ს საათზე, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

**არიადნა**

გამოსვენება დილუბის ეკლესიის ბინიდან კვირას, 15-ს ღვინობისთვეს, ნაშუადღევის 2-ს საათზე, დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სახელოზე.

1—835—1

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი

**იმყოფება** **ახალ** **ბინაზე**, სასახლის ქუჩა № 5, ქართული საეპარქიო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ. ამ ორის განმავლობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულების შეტანა.

## თბილისის

### პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრთ ჩაწერვა და ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7-მდე „საქართველოს" რედაქციაში-ბ-ნ ეკვეხი იაკობის ძე გიგიშვილთან.

### მესაძესე და მეშვიდე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-მდე ტფილისის ქუჩა № 5, სახლი კლიმიაშვილისა.

### მერვე და მეცხრე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრთ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 7—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მეორე ეტაჟზე, ბოლანისის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან ვ. ყიფიანთან.

### მეათე და მეთორმეტე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხალფინის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუჰგალტერ კალატოზიშვილთან.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატ მოღვაწეთა საყურადღებოთ

კვირას, ღვინობისთვის 15-ს, დილის 11 საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში დანიშნულია თბ. ეროვნულ-დემოკრატ მოწაფეთა

## საერთო კრება

კრების საგანია: კომიტეტის მოხსენება მომავლების შესახებ, საორგანიზაციო საკითხები და კომიტეტის არჩევნები. კრებაზე დასწრების უფლება აქვთ მხოლოთ წევრთა და თანამგრძნობთ. 3—797—3

## ბოდბის სამასწავლებლო სემინარიის საპედაგოგიო საბჭო

ამით აცხადებს საზოგადოების საყურადღებოდ, რომ ბავშვების მიღება და გადასასვლელი გამოცდები იწყება ამა დღინობისთვის 20-ს, ხოლო სწავლა 25-ს. პანსიონში წესანახი ფასი სულ ზედ დაწერილია წლიურად 300 მანეთი, რომლის ნახევარი მშობლებმა უნდა შეიტანონ ამ თვეში და ნახევარი იანვარში. გარდა ამისა, ყველა ნაწილი ეალდებულია იქონიოს ერთი ხელი ტანისამოსი და ფეხსაცმელი.

2—832—2

## ამიერ-კავკასიის ვაჭარ-მრეწველთა ყრილობა

**იწყება 1917 წლის 15 ოქტომბერს**

### პროგრამა ყრილობისა:

1) მიმდინარე მოხსენები (მოხს. ბ. ი, ამირიდოვისა).
2) შექმნა ვაჭარ-მრეწველთა ამიერ-კავკასიის ორგანიზაციისა (მოხს. ე. ე. ხანდანოვისა).
3) მოსაზრება დამფუძნებელ კრების ანჩეგენებისთვის (მოხს. ე. ე. ხანდანოვისა).
4) დაარსება მეჭდავი ორგანოსი (მოხს. მ. ი. ბერბერიანი).
5) ამიერ-კავკასიის საერთო-მოსახლეობა: ვაჭრობის მდგომარეობა, მრეწველობისა, სასურსათო საქმე, ტრანსპორტი, საერთაშორისო ვაჭრობა (მოხს. ქ. ვერმიშევისა და მ. ბერბერიანისა).
6) ზოგიერთ საგაჭროების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხები (მოხს. ზ. კაკაჭოვისა).
7) მზადება დემობილიზაციისთვის (მოხს. გ. მელიქ-კარაკოზოვისა და ა. ხოშიაგოვისა).
8) მოხსენება ადგილებიდან.
9) მიმდინარე საკითხები.

ვაჭარ-მრეწველთა ტფილისის საგუბერნიო კომიტეტი, რომელმაც ითავა ყრილობის მოწვევა, სთხოვს საგუბერნიო და საძაზრო ვაჭარ-მრეწველთა კომიტეტებს, საბირჟო კომიტეტებს, შეკავშირთა და მეფაბრიკეთა საზოგადოებებს, ვაჭართა კიბერებს, ხელოსანთა საძმართა ვალიერებს და ვაჭარ-მრეწველთა საზოგადო კრებებს, ნუ დაუცდიან გასაგზავნრულ მოწვევას და გამოუგზავნონ წარმომადგენლები. დელეგატებს შესასვლელი ბილეთი მიეცემათ ტფილისის ვაჭარ-მრეწველთა კომიტეტის ბინაზე (ჰუშვინის ქ. ადრესი დეპეშისთვის: „Торгово-промышленный".

10—792—9

## ამიერ-კავკასიის ბანკი

(თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5)

## იყიდება

**ბაკოში** **დაარსებულ** **ძართულ** **ნავთის** **საწარმოველო-საბაკლონერო** **ხაზგადოების** **აქციები** 1000, 3000, 5000, 10000 **და** 25,000 **მანეთიანი.**

**დაწვრილებით** ცნობები **მიიღება:** თბილისში, **იმავე** ბანკში, ბაკოში—საზოგადოების კონტორაში ვორონცოვის ქ. № 4. თ—766—14

## ამიერ-კავკასიის ვაჭარ-მრეწველთა ყრილობის გახსნა

**მოხდება** **კვირას**, ოქტომბრის 15-თვის, **დღეს** 12 **საათზე**, სახელოსნო **კლუბში**, **მიხვლის** ქ. № 58.

შესასვლელი ბილეთები მიიღება თბილ. საბირჟო კომიტეტის სადგომში, (ბუშკინის ქუჩა, 5) ხოლო ყრილობის გახსნის დღეს სახელოსნო კლუბში.

2—799—2

## ქართული კლუბი

წარმოდგენა № 7.

**ორშაბათს, 16 ოქტომბერს 1917 წ.**

თბილისის ქართ. დრამ. დასის მსახ. მიერ წარმოდგენილი იქნება

| I | II |
|---|---|
| **უბედური დღე** | **ფული და ხარისხი** |
| კომ. 3 მოქ. ნ. ახიანისა. | ვოდ. 1 მოქ. ვ. ბალანჩივაძისა. |

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: აბაშიძე ტ., ბეჟანიშვილი ს., ქიქაძე-ჯიშვილი ბ., შოთაძე ან., ჩერქეზიშვილი ელ., ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი: აბაშიძე ვასო, გვარაძე ნ., ზარდალიშვილი ი., თარხალაშვილი ი., იმედაშვილი ა., კობახიძე ი., მატარაძე ვ., ყიფიანი ს., შალიკაშვილი ვ.

3—796—3 რეჟ. ვ. შალიკაშვილი.

## ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესიის კრებული

პატივისცემით აცნობებს, ამა ეკლესიის მრევლთ, რომ კვირას, ღვინობისთვის 15. წირვის შემდეგ, თვით ეკლესიაში დანიშნულია არჩევანი

1) საბრევლო საბჭოს წევრთა,
2) საბრევლო მოლარისა (ნნათისა) და
3) საბრევლოს წარმომადგენელთა ეპარქიის კრებისათვის დეპუტატთა ასარჩევად.

და სთხოვს, მობრძანდნენ და მიიღონ მონაწილეობა არჩევანში.

2—827—2

## თავისუფალი თეატრი

(სახელოსნო კლუბი)

**ანონსი**

**კვირას 22 ოქტომბერს**

ქართველ ცხენოსანთა ტყვეისმფრქვეველთა რაზმის ფონდის გასაძლიერებლად წარმოდგენილი იქნება

## პატარა კახი

ისტორიული დრამა 5 მოქ. აკაკისა.

დაწვრილებით აფიშებში. 2—835—1

**ექიმის თანაშემწე**

**ვანო საათაშვილი**

**ღებულობს** **ავადმყოფებს** **ხალ.** 4—6 **საათ.**—ვენერიული სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ. **მიხამართა:** ფასანაურის შესახ. № 3 (1-ლი სამილიციო ნაწილი).

36—748—თ.

**ექიმი**

**გ. მ. მუხაძე**

იღებს საღამოსტაკრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ სახ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

თ—5

**ოქტომბრი მედიცინისა**

**მოსე ანთიმოზის მე**

**კალანდარიშვილი**

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

**კბილის ექიმმა**

**მამულაიშვილი-ხოდნევისამ**

**განაახლა**

**ავადმყოფების** **მიღება.**

10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა.

ოლდას ქუჩა, № 22.

25—823—6

**თბილისი, ღვინობისთვის 15.**

## შავი ქვის მრეწველთა-თვის

დღეს ჭიათურაში გაიხსნება ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა ყრილობა, რომელსაც მრავალი ისეთი საკითხი აქვს გადასაწყვეტი, რომელშიაც ჭიათურის მრეწველებთან თანაბრად დაინტერესებულია მთელი ქართველი საზოგადოება. ჯერ კიდევ რევოლუციის დაწყებამდე მთელი ერის ყურადღება მიქცეული იყო იმ გერმანელ მპყრობელებისადმი, რომელნიც სალიკვიდაციოდ იყვნენ გაზოცხადებული და რომელთა შენარჩუნებას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ეროვნულის, ისე ეკონომიურის თვალსაზრისით, რადგან ამ მამულების შეძენს ხელთ ეძლევა საფაფე ჭიათურის მრეწველობისა.

თითქოს ბუნებრივი უნდა ყოფილიყო, რომ ქართველთა მამული კვლავ ქართველთა საზრუნავად გამხდარიყო და ის დაუშრეტელი წყარო, რომელსაც სიმდიდრით აუვსია უცხოელნი, ამიერიდან საქართველოს მისცემოდა, მაგრამ ჩვენ იმთავითვე დიდი რწმენა დაგვქონდა, რომ ქართულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აელოთ თანხმობა ამ საქმისა. ეს როგორც იქნა მოვახერხეთ, მაგრამ ძველი წყობილების სასტიკმა წინააღმდეგობამ ისა ქნა, რომ ეს საქმე საკანცელარიო ორდობეში გაეჩხირა და დღესაც არ არის გათავებული.

ხვალინდელ ყრილობას თავის წესრიგში აქვს ამ საკითხის განხილვა.

მან უნდა მიიღოს მხედველობაში, რომ თუ ჭიათურის წარმოების სათავეში კვლავ დარჩნენ ის უცხოელნი, რომელნიც დღეს უმთავრესი მომხმარებელნი არიან შავი ქვისა ევროპაში, დასავლეთ საქართველოს ეკონომიური კეთილდღეობა საოცრად დაეცემა და ქართული მრეწველობა, უთუოდ უცხოელს დაემონება.

ჭიათურის მრეწველთა ყრილობამ დაჟინებით უნდა მოსთხოვოს საერთაშორისო მთავრობას, რომ ჭიათურის გერმანელ მპყრობელების საქმემ დროთა მიიღოს თავისი საბოლოო დასასრული და თუ გადაწყვეტილია ვინმესთვის საწარმოოდ გადაცემა, აუცილებლად გადაეცეს ქართულ სათანადო დაწესებულებას. მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი თავიდან აცილება იმ ჩარჩთა და მრეწველთა, რომელნიც ჰბორკავენ ქართულ მრეწველობას ჭიათურაში და შესაძლებელი იქნება განმტკიცება თავისუფალი საერთაშორისო ბაზრისა მაზანდის ადგილობრივი დაწესებით და არა უცხოეთიდან მოსული ბრძანებით.

ჭიათურის მრეწველობის წინაშე ომის გათავებით დიდი პერსპექტივები ია წინ გაშლილი, როდესაც გზების გახსნით საოცრად აიწევს შავის ქვის მოთხოვნილება და რასაც შესაფერისად მოჰყვება გაუჯობესება საწარმოო ძალების საშუალებათა.

ჭიათურა უთუოდ გახდება თავისუფალ საქართველოს ეკონომიურ კეთილდღეობის ერთ-ერთ უძლიერეს წყაროდ და ჯერ აუცილებლად მოითხოვს ჩვენს დაკვირვებულს ყურადღებას.

## ქუთაისის დარგვა

მივადწიეთ!..

„სისხლის მსმელი კაპიტალისტები", „ჩარჩი ბურჟუები", „კონტრ-რევოლუციონერთა" ბანაკი იძახდენ და გულუბრყვილოთ ეგონათ, რომ ბრძო, რომელსაც ასეთი სიტყვები ესმოდა, მხოლოდ თეორიულ მსჯელობით დაკმაყოფილდებოდა, ხხოლოდ კენჭის ყრის დროს გაყვებოდა ენა-შბამენ და გოხენა დახშულ მჭადაგებელთ და თავისებურათ არ გაუმასპინძლდებოდა იმ ადამიანებს, რომელნიც გამორიცხეს ყოველგვარ დაწესებულებიდან, გამოაცხადეს ქვეყნის და ბშოომელ ხალხის მტრათ.

სიძვირე, ომის გაგრძელება, კორნილოვის გამოსვლა—ყველაფერი ვაჭარ-მრეწველთა მზაკვრული მოქმედების შედეგათ მოინათლა, და კაცი არ იყო ეთქვა, რომ თუნდაც ეს მოსაზრება მართალი იყოს, -რუსეთის ვაჭარ-მრეწველთა შესახებ — რიაბუშინსკიბროდსკის შესახებ ქუთაისელი ვაჭრები გაბუნია, ფოჩხაძე, ციბაძე და სხვა ათასი არაფერ შუაში არიან, რომ ისინი ისე არიან ჩაბმული საერთო სამწუხარო ფერხულში, როგორც ყოველი სხვა მოქალაქე—ბუშა იქნება იგი, მოხელე თუ ვაჭარი.

ქუთაისში და ქუთაისის გუბერნიაში ვგძებთ კორნილოვის მომხრეთ, კონტრ-რევოლუციონერებს მაშინ, როდესაც კორნილოვის მიმართულებას ვერც კი იცნობენ ჩვენი ვაჭრები...

სიძვირე ვინ გამოიწვია?

ყოველმა ჩვენგანმა და არა განსაკუთრებით ვაჭრებმა.

გამოიწვია იგი ქალაქის ფულის ფასის დაკარგვამ, საქონლის შემოლევამ, უგზოობამ, ანარქიამ...

ქათამს სოფელი 5—10 მანეთად აფასებს.

ურემი შეშა, წინათ რომ 3 მანეთი ღირდა—დღეს 25—30 მანეთად იყიდება.

ქალაქში ერთი მგზავრობა ეტლით წინათ 25—30 კაპ. ღირდა, ეხლა ნიხრით 1 მან.—1 მ. 50 კაპ. ღირს, ნამდვილად კი ხშირად 2—3 მანეთს ვიხდით.

მეკურტნე მუშა წინათ 2—3 მანეთს ძლივს შოულობდა, ჯდეს 30—35 მანეთის ნაკლებ არ ქირაედება...

და მერე რა?

ვინაა დამნაშავე?

რომელიმე ცალკე პირი, ერთი რომელიმე დარგის მუშა?

არა!

ცხოვრება აირია,—ყოველი ცალკე პირი, ყოველი დარგის მშრომელი გრძნობს გამოუკლებელ მდგომარეობას და ცდილობს უზრუნველ ჰყოს თვისი მომავალი დღეები და ამიტომაც ძვირებს თავის ნაშრომს, საქონელს და უნებურათ ებმება გარდუვალ რგოლში...

და პასუხისმგებლად კი ავირჩიეთ ვაჭრები...

დავარბიეთ ქუთაისი...

დიაღ, ჩვენ დავარბიეთ... ვერც ჯარისკაცები, თუნდაც ცარიცინიდან მოსულნი, ვერც ბრბო ვერ გაბედავდა იმ საშინელების მოხდენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქუთაისში, რომ თანაგრძნობას არ იწვევდენ მცხოვრებთა შორის, რომ არ ვყიდულობდეთ დანარბევს. .

ვაჭრობა-მრეწველობა კანონისა და კეთილგანწყობილების გარეშე ვვაქვს გამოცხადებული და რა საკვირველია, თუ დარბევის დროს შევრი, ძლიერ ბევრი ისეთებიც, რომელთაც არაფერი გაჭირვება არ ადგათ, არ თაკილობდენ შეგარდნილიყვნენ დამსხვრეულ დუქნებში და გამოეტანათ რაც ხელში მოხვდებოდათ.

ვაჭარ-მრეწველები დღეს ისეთივე უუფლებო, საზიზღარ ნაწილათ დაგვსახეთ, როგორათაც ევროპაში საშუალო საუკუნეებში ებრაელები იყვნენ... და მათაც ისე ეეპყრობით, როგორც ებრაელთ ეპყრობოდა, რომელიმე საშუალო საუკუნეების რაინდი...

დარბეულია საუკეთესო მაღაზიები... მაგრამ არ ეძიან დატოვებული არც ისეთი დიდი „ბურჟუები", როგორიც არიან ჩვენებური დალაქები და მეწუღლეები...

რამდენი დარჩა ულუკმა პუროთ!

რაც მოხდა საშინელებაა, მაგრამ უარესიც მოსალოდნელია!..

ქუთაისის მაგალითს, ვაი რომ, მიმბაძველი გამოუჩნდეს.

საჭიროა სწრაფი, სასტიკი ზომები მთავრობის მხრივ, და **მცოდნე მჭადაგებელთა** დაგზავნა პარტიების მიერ, რომელნიც ეუხსნიან რომ ვაჭრების ასეთ რბევას კაპიტალიზმთან და ბურჟუაზიასთან ბრძოლა კი არ ჰქვია, არამედ ავაზაკობა, რომ ყოველ სავაჭროს დარბევა მთელი ხალხის შევიწროებაა...

თავის მხრით ვაჭართა კლასი უნდა შეკავშირდეს და მათ წინააღმდეგ გამოსულ **უფრ** მჭადაგებელთა წინააღმდეგ უნდა განაგრძ	ოს საღი შეხედულება ვაჭრობა-მრეწველობაზე, კერძო საკუთრებაზე... ერთ კანონიერ კალაპოტში უნდა მოამწყვდიოს კლასთა შორის არსებული უთანხმოება.

თანაბარი უბედურება მოელის სოფელს, თუ დროზე არ იქმნა შეწყვეტილი ჩვენი ცხოვრებისათვის შეუფერებელი ქაოსგება...

მეთაურები უნდა ჩაუკვირდენ, არა მარტო საკუთარ გულწრფელ სურვილებს და პატიოსან მისწრაფებებს, არამედ იმასაც, თუ რა შედეგი მოჰყვება უვიც მჭადაგებელთა მიერ დამახინჯებულ და გადაკეთებულ აზრებს...

Argon.

## ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თათბირი

### I

### დადგენილება კოლიტიკური მომენტისა და ტაქტიკის შესახებ.

საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის სასწრაფო თათბირმა მოისმინა 13 ოქტომბრის სხდომაზე გრიგოლ ვეშაპელის მოხსენება შესახებ პოლიტიკურ მომენტისა და პარტიის ტაქტიკისა და ერთხმად დაადგინა:

„ვინაიდან ომითა და რევოლუციის კრიზისით გამოწვეულ ანარქიიდან თავის დასახსნელად აუცილებელია ყველა ქართული ცხოველი ძალების დარაზმვა, როგორც ფიზიკურად, ისე ეკონომიურად და პოლიტიკურად.

და ვინაიდან რუსეთის დამფუძნებელი კრების დაწყება და საერთაშორისო საზავო კონგრესის მოახლოვება მოითხოვს აქტიურ ეროვნულ პოლიტიკის წარმოებას, ქართველი ერის უფლებათა ღესადგენად დასაცავად,

მოეთხოვოს ქართულ საპარტიათაშორისო საბჭოს დაუყონებლივი მოწვევა საქართველოს ეროვნულ კრებისა' რომელმაც უნდა აირჩიოს მთელი ქართველი ერის ნდობით მოსილი ეროვნული აღმასრულებელი საბჭო.

# ომი და ზავი

### დეკეშები ალმოსავლეთის ფრონტი.

**რუსეთის ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** ღვინობისთვის 12. **ჩრდილოეთის ფრონტი.** რიგის მიმართულებით პსკოვის გზატკეცილის და მდ. მეგელის შიდამოებში მტერმა თავისი მოწინავე პოზიციები მიატოვა და 20 ვერსით უკან დაიხია; ღვინობისთვის 10 მდ. მეგელის როდენპოის—ტურკალნსნას ხაზს მიადწია. ჩვენს მოწინავე ნაწილებს წინ მტერი ალარ უხვდება. ერთი ჩვენი რაზმი მდ. მეგელზე მეირინამდე მივიდა, მაგრამ არავინ შეხვედრია. უკან დახვევისას მტერს ყველაფერი გაუნადგურებია: შენობები, გზები და ხიდები. დვინსკის მიდამოებში რამდენიმე ალაგას გერმანელები ჩვენებთან დაძმობილებას კვლავ სცდილობენ.

**დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთისა და რუმინეთის ფრონტები.** სროლაა.

**კავკასიის ფრონტი.** არსებითი არაფერი მომხდარა.

**პეტროგრადი.** ღვინობისთვის 13. ოფიციალი. **ჩრდილოეთის ფრონტი** სოფელ სკოფელის რაიონში მოწინავეთა სროლაა. ალაჯის რაიონში მზვერავთა შეტაკებაა. მზვერავთა შეტაკებაა აგრეთვე ოგუნდის რაიონში. დენდევარდენის მიმართულებით ჩვენ მზვერავებს რიგა-ორლოვის რკინის გზის ლიანდაგამდე მტერი არ შეხვედრიათ. დანარჩენ ადგილებში სროლაა.

**დასავლეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთის და რუმინეთის ფრონტები.** სროლაა.

**კავკასიის ფრონტი.** პენჯვინის მიმართულებით ყარა-მერივანის სიმაგრის რაიონში ჩვენმა მზვერავებმა ოსმალები მერიფანის ღელედან განდევნეს და ზერიბარის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირამდე მივიდნენ.

## გრძოლა გალიციის ზღვაზე

### ჯარის გადმოსხმის ცდა

**პეტროგრადი.** ღვინობ. 12. ვერდერის სამხრეთით 12 ვერსის მანძილზე, ტომბას მიდამოებში მტერმა ჯარის გადმოსხმა სცადა, მაგრამ სანაპირო ზარბაზნების სროლით უკუ ვექციეთ.

### მტრის ესკადრა

**პეტროგრადი.** ღვინობ. 13. კერვასტაში დუზაზე მტრის ესკადრა სდგას ეკადრაში დრედნოუტებიც არიან. ვერდერის რაიონში ჩვენმა მოწინავე მოდარაჯეებმა მტრის ზზვერავები მოიგერიეს. დანარჩენი სანაპირო უბნების მდგომარეობა უცვლელია.

### გრძოლა აფრიკაში

**ჰავრი.** ღვინობ. 11. ოფიციალი. ღვინობისთვის 10 გერმანელთა რაზმმა იერიში მიიტანა ბელგიელებზე. ბელგიელების თხრილები ლიკაზიეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობენ. გერმანელთა იერიშები ბელგიელებმა მოიგერიეს. გერმანელებმა დაიხიეს. მათ მოუკვდათ 2 ევროპიელი და 15-ც ადგილობრივი მცხოვრები. ბელგიელ ჯარმა იმდენად წაიწია წინ, რომ მალე ინგლისურ ჯარს შეუერთდება.

### დასავლეთის ფრონტი.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა.**

**პარიზი.** ღვინობ. 12. ოფიციალი. მდ. ენის ჩრდილოეთით წუხელის მდგომარეობა არ შეცვლილა. ბარეგან დანუა-ზვინიერნის უბანში, ობეიზანის მთის მახლობლად ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია და როიუშეს ფერმამდე მიადწია. ამ რაიონის ტყეთა რიცხვი 500 ადემატება. სერნი-ან-დანნუას რაიონში გაცხარებული ბრძოლაა. მაასის მარცხენა მხარეზე ორივე მხრის არტილერია მოქმედობს. ლეშომის ტყის უბანში ტყეები წამოვიყვანეთ.

**მფრინავთა მოქმედება.** გერმანელთა ჰაეროპლანებმა 2 უუშბარა ჩამოვაგდეს. ჩამოვგდეთ გერმანელთა 5 ჰაეროპლანი. ოფიციალი ეცნობა, რომ ჩვენმა ჰაეროპლანებმა იერიში მიიტანეს გერმანელთა ორ „ცეპელინ"-ზე და საჰაერო ზარბაზნების დახმარებით სომის ღელეში დაუშვეს. ზედ მყოფებმა „ცეპელინი" დასწვეს და გაქცევა დაიპირეს, მაგრამ მოვეწიეთ და ტყვედ წამოვიყვანეთ.

**ინგლისის ბანაკის ცნობა**

**ლონდონი.** ღვინობისთვის 12. ავენკურის სანხრეთ-დასავლეთით წუხელის უწინაშვნელო შეტაკება მოგვიხდა. შუადღის შემდეგ გერმანელთა არტილერიამ იწყო მოქმედება. უამინდობაა. დიდი მოქმედება შეუძლებელი ხდება.

**იტალიის ბანაკის ცნობა.**

**რომი.** ღვინობ. 11. მტერმა ჩვენს ფრონტზე დიდ ძალებს მოუყარა თავი. გუშინ საღამოს იულიუსის ფრონტს სხვა და სხვა პუნქტებში მტრის არტილერიამ დიდი მოქმედება დაიწყო. გოისა და რომონის შუამდებარე ასპარეზებს მტერი ქიმიურ ყუმბარებს უშენს.

## ზავის გარშემო

### ინგლისელები რუსეთის დემოკრატიის შესახებ.

**ლონდონი.** ღვინობისთვის 11. „პელ-მელ-გაზეთი"-ი სწერს: დეპუტატთა საბჭოს მიერ წამოყენებული საზავო პირობები ნათლად მოწმობენ რომ რუსეთის დემოკრატიას არსებული სინამდვილე ვერ შეუგნია და ჯერ ისევ თავისივე ოცნებით შექმნილ სიზმრებით ირთობს თავს. თითქოს დრო კი არის, რომ რუსეთის დემოკრატიას ზურგი ექცევნა უტოპიურ ოცნებებისთვის და ფაქტებისთვის გაეწიფნა ანგარიში. ის გარეშეა, რომ პრუსია პეტროგრადს ჭიშკარს ადგება-უკიდურეს პაციფისტისათვისაც კი ნათელია.

# რუსეთის რესპუბლიკა

### დეკეშები

### ტყვეების გადასმლება მოსკოვიდან

**მოსკოვი.** ღვინ. 11. პეტროგრადიდან მოწერილობა მიიღეს დაუყოვნებლივ გაიყვანონ მოსკოვში მყოფი ყველა სამხედრო ტყვეები. გადაიყვანონ აგრეთვე სხვა და სხვა დაწესებულებებში მოუშავე ტყვეები.

### ნაბოკოვის ელჩად დანიშვნა

**პეტროგრადი.** ღვინ. 12. რუსეთის ლონდონელ ელჩის მრჩეველი ნაბოკოვი ნორვეგიის ელჩად დაინიშნა.

### საზოგადო მოღვაწეთა თათბირი

**მოსკოვი.** ღვინობისთვის 12. გაიხსნა საზოგადო მოღვაწეთა მეორე თათბირი. თათბირზე სხვათა შორის ესწრებიან: როძიანკო, გენერალი ბრუსილოვი, არქიეპისკოპოსი იოსები და პლატონი. თათბირის თავმჯდომარედ აირჩიეს როძიანკო, მის ამხანაგებად—თავადი ეგენი ტრუბეცკოი, თავადი დოლგორუკოვი და ჩერვერიკოვი, როძიანკომ აღნიშნა, რომ სამშობლოს სახსნელად საჭიროა მთელი ერის ძალა და მტკიცე სახელმწიფოებრივი მთავრობა. ზავის ჩამოგდებაზე როძიანკომ განაცხადა: ეს მოკავშირეთა ღალატი იქნებაო. ტრუბეცკოიმ აღნიშნა, რომ რუსეთი საშინლად ავადაა, მაგრამ ნიშნებია რომ საზოგადოებრივი ჯგუფები ანარქიულ მოძრაობას თავს ანებებენ. ილაპარაკა აგრეთვე პროფესორ კიზევეტერმა, ნოვგოროდცევმა, მარტოვმა, ბოტკინმა და სხვებმა!.. კრებამ ოვაცია გაუმართა გენერალ ბრუსილოვს, რუზსკის და სხვა ოფიცრებს.

### პეტროგრადის დაცვა

**პეტროგრადი.** ღვინ. 12. დეპ. საბჭოების აღმ. კომიტეტმა დაადგინა ქალაქის დაცვისათვის ჯარის საომარ ძალის შესაქმნელად დაარსოს დროებითი სარევოლუციო კომიტეტი, რომელშიაც შევა: საბჭოების პრეზიდიუმი, ჯარის კაცთა სექცია, ფლოტის ცენტრი, ფინეთის საოლქო კომიტეტი, სარკინიგზო და საფოსტო-ტელეგრაფო კავშირები, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების და პროფესიონალ კავშირების საბჭო, პარტიათა სამხედრო ორგანიზაციები და მუშათა მილიცია.

### გოლშევიკური რეზოლუცია

**პეტროგრადი.** ღვინ. 11. დეპ. საბჭოების ჩრდილოეთის საოლქო ყრილობამ ბოლშევიკური რეზოლუცია გამოიტანა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ძალაუფლება სახელმწიფოსი დაუყოვნებლივ დემოკრატიულ ორგანოების ხელში გადავიდეს. ამას გარდა აღნიშნულია ჯარის სამხედრო ღონისძიების აწევის საჭიროება.

### საბერძნეთის მეფის წერილი კერენსკისადმი

**პეტროგრადი.** ღვინ. 13. პეტროგრადში მყოფმა საბერძნეთის ელჩმა კაკლამანოსმა მეფე ალექსანდრეს საკუთარი ხელთნაწერი წერილი გადასცა მინისტრ-თავმჯდომარეს. მეფე ალექსანდრე აცნობებს რუსეთის მთავრობას მის საბერძნეთის ტახტზე ასვლას და აღნიშნავს ტრადიციულ მეგობრობას და კავშირს საბერძნეთისა რუსეთის შორის. კაკლამანოსმა მეფის სახელით რუსეთს დეგეგრძელობა უსურვა. საპასუხო სიტყვაში კერენსკიმ სიხარული გამოსთქვა ამის გამო. და განაცხადა, რომ დროებითი მთავრობა შეეცდება რუს-ბერძნების შორის მეგობრობის გამტკიცება.

# ანარქია

### მკვლელობა და გაცარცვა

**ასტრახანი.** ღვინ. 12. კრასნი იარიდან მოსულ გემზე აღმოაჩინეს ლეში ჩერნიგოვის სასურსათო კომიტეტის რწმუნებულის დემოსკაისა. მკვლელობის შემდეგ 15.000 მან. ამოუცლიათ.

### დარბევის წინააღმდეგ

**კურსკი.** ღვინ. 12. ქალაქის საბჭომ დაადგინა 10.000 მან. გაიღოს ადგილობრივ მეცხოვნე ჯარის არტილერისტების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რომლებმაც ქალაქში დაწყებული რბევა შეაჩერეს; ჯარის კაცების რეზოლიუცია კი, რომელშიაც ნაამყნეა, რომ—ასნი არ დაუშვებენ [illegible], დადგინეს ოქროს ჩარჩოში ჩასმული საბჭოს დარბაზში ჩამოჰკიდონ.

## მუშათა საგჭოების გაუქმება

**პეტროგრადი.** ღვინობისთვის 12. „მუშ. და ჯარ. დეპ. საბჭოთა ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის შეწყვეტა"-ში და „ჯარისკაცის ხმა"-ში ერთ და იმავე დროს მოთავსებული იყო წერილი ამ სათაურით: „საბჭოთა ორგანიზაციის კრიზისი", რომელმაც პოლიტიკურ და დემოკრატიულ წრეების ყურადღება მიიპყრო. წერილში აღნიშნულია, რომ 800 ადგილობრივ საბჭოთაგან დღეს ბევრი ადარ არსებობს და, თუ არსებობს შეზღუდულ ქალაქდაზე. წერილი აღიარებს, საბჭოები ალარ წარმოადგენენ საერთო დემოკრატიულ ორგანიზაციასთან. ამ ორგანიზაციის გარეშე დარჩა გლეხობის გარდა ისეთი ცენტრების, როგორიც არის პეტროგრადი და მოსკოვი, დემოკრატიაც გათიშულია. საბჭოებში მონაწილეობას არ იღებენ ინტელიგენციის დიდი ნაწილი და ყველა ნუშები. ერთ მთავარ მიზეზთაგანი ამ მოვლენისა ის არის, რომ ადგილობრივ თვითმართველობის დემოკრატიულ ფორმები მტკიცდება. ასეთი თვითმართველობის შეშოდების შემდეგ ბოლშევიკებად საბჭოების როლი შესუსტდა. საბჭოები ჩინებულ ორგანიზაციას წარმოადგენენ ძველ რეჟიმთან საბრძოლველად, მაგრამ უსუსური გაზოდგა ახალი რეჟიმის შესაქმნელად. მაშასადამე, საბჭოების დაცემის მიზეზი ორგანარია: ორგანიზაცია და უარყოფითი, როგორც მაგალითად: პოლიტიკურ ინტერესის შესუსტება, ანარქია და უკულტურო წრეების ალვირ ახსნილობა, კულტურასან ელემენტების სუსტი ორგანიზაცია და დადებითი: ახალი თავისუფალი რუსეთის სახელმწიფო და საზოგადო აღმშენებლობის დაწყება,—ამიტომაც—ამბობს გაზეთი—გვინდა, რომ საბჭოთა დროებითი ორგანიზაციის მაგივრად მუდმივი, საკუთარ და ყოველმხრივი ორგანიზაცია სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ ცხოვრებისა.

# რესპუბლიკის საგჭო

### ღვინობისთვის 12 სხდომა

სხდომა იხსნება ავქსენტიევის თავმჯდომარეობით ღილის 11 ს. და 30 წ. პრეზიდიუმის წინადადებით კრებამ დაადგინა პირადი შემადგენლობის კომისიას გადაეცეს დასადასტურებლად სხვა და სხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების შუამდგომლობა საბჭოში მათი წარმომადგენლების დაშვების შესახებ. მიიღეს თავდაცვის კომისიის წინადადება ხსენებულ კომისიის ფლოტის 2 წარმომადგენელის შევსების შესახებ. პეტროგრადის დაცვის საკითხი საბჭოს დადგენილებით ჯერ თავდაცვის კომისიამ უნდა გასინჯოს.

საბჭო განაგრძობს თათბირს თავდაცვის შესახებ მთავრობის ცნობების გამო. კამათს იწყებს მემარცხენე სოციალისტ - რევოლუციონერი შტეინბერგი.

### შტეინბერგის სიტყვა

არც ერთ მიზანს, რომელს ადამიანებიც სურდათ, რომ ხალხი ნდობით მოჰქცეოდა ომს, ეხლა ხალხი ალარ იზიარებს. აქედან ცხადია, თუ რად ჰკარგავ ამ ომმა განმაგრ სუფლებელის შარავანდედი. მემარცხენე სოციალ-დემოკრატებს სწამთ, რომ თავდაცვის საკითხი მჭიდროთაა დაკავშირებული საერთაშორისო კითხვებთან და პირველის გადაწყვეტასთან მეორეც უნდა გადაწყდეს. ორატორი კრიტიკას უკეთებს ჯარის ძლიერების ალსადგენად საბჭოს მემარჯვენე ფრთის მიერ წამოყენებულ ზომებს და ამბობს, ყოველის უპირველესად ჯარს სწყურია იცოდეს ომის მიზანი. რუსეთის რევოლუციამ მარტის 14 მანიფესტის გამოცხადებით სწორე ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ხელმძღვანელ პარტიებმა, მიუხედავად იმისა, რომ მხარს უჭერდნენ დროებითს მთავრობას, სიტყვა საქმედ ვერ აქციეს. სამშობლოს დასაცავად და ჯარში ბრძოლის სურვილის განსამტკიცებლად მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერების აზრით, საჭიროა აქტიური საგარეო პოლიტიკა რისთვისაც აუცილებელია მტკიცე რევოლუციურ მთავრობის შექმნა. (ტაში).

### აჯემოვის სიტყვა

აჯემოვი აღნიშნავს, რომ ეხლა ყველას წინაშე ერთი საკითხია წამოყენებული: შეუძლიან თუ არა რევოლუციას თავისი თავის ხსნა. რევოლუციამ თავი უნდა იმართლოს სამშობლოსა და ისტორიის წინაშე. მან უნდა დაამტკიცოს, რომ იგი სამშობლოს სახსნელად მოხდა და არა სამშობლოს დასაღუპად (ტაში მარჯვნივ). ამისათვის უპირველეს ყოველისა საჭიროა, რომ დროებითი მთავრობა სრულ უფლება მოსილებით იყოს აღჭურვილი. საფრანგეთში რევოლუციური მთავრობა უმეტესად ძლიერი იყო ვინაიდან იგი ხალხს კი არ ებრძოდა, არამედ ძალას ხალხშივე პოულობდა. ჯარის მდგომარეობაზე ლაპარაკის დროს აჯემოვმა აღნიშნა, რომ სამხედრო მინისტრის გეგმა ჯარის გასაჯანსაღებლად სრული არ არის. მას აკლია წვრილმანი, რის გამოც გეგმა ნათელი არ არის. თუ სამხედრო მინისტრს ჯარში ბრძოლის სურვილის განმტკიცება აქვს სახეში—ჩვენც მასთან ვართ, მაგრამ თუ მისი დაშლა განუზრახავთ—ასეთი რეფორმის წინააღმდეგნი ვართ. (ტაში). ეხლა, როდესაც რუსეთის მეოთხედი დაპყრობილია, ყველა ჯარისკაცისთვის ნათელი უნდა იყოს ომის უპირველესი მიზანი—მტრის განდევნა საზღვრებიდან. ამ ორატორების საწინააღმდეგოდ, რომელნიც პირველ რიგში ზავის საკითხს აყენებდნენ—აჯემოვმა განაცხადა, რომ უპირველეს ყოველისა ჯარი ზავის ხმაზმა დაშალესო. ხალხს უნდა უთხრათ, რომ მიწაში ჩარჭობილი ხიშტები კი არ მოუპოვებს ზავს, არამედ ხიშტების მაღლა აშართული წვერები. ინტერნაციონალისტების საწინააღმდეგოდ—აჯემოვმა განაცხადა: ჩვენთვის ინტერნაციონალი გაუგებარია, რადგან ჩვენს სამშობლოსთვის ვართ, ისინი კი არ ვიცით, ვისთვის იბრძვიანო. (ტაში მარჯვნივ).

### ლიგერის სიტყვა

ლიბერი უკმაყოფილოა იმით, რომ თავდაცვის საკითხის განხილვის დროს რევოლუციას დიდი საბრალმდებლო ოქმი წარუდგენეს. ის პირნი, რომელნიც გამეტებით ლაპარაკობდნენ ძველ-

# ოქროს ბანაკი

**ღვინობისთვის 15.**

## ბაკურიანი

ბაკურიანი, ბაკურიანი, ბაკურიანი! ... ეს ... ... ...

ლი წეს-წყობილების უვარგისობაზე, სახელმწიფოს ელემენტარულ თავდაცვისთვის, დღეს ამტკიცებენ, რომ ძველი რეჟიმის დროს იყო ლაშქარი, რომელიც იმარჯვებდაო. ბრალი კი ნამდვილად გამეფებულ კლასების წარმომადგენლებს ედებათ, რომლებმაც აღიარეს ლიუნგენი: „ომი გამარჯვებამდის“, „დარდანელამდე“, „სტამბოლამდე“ (ტაში მარცხნივ). თავდაცვის მიზნებს ჯარი შეასრულებს, ოღონდ საჭიროა, ნდობა დავიმსახუროთ მისი. ორატორს საჭიროდ მიაჩნია ჯარის შემცირება, რომ უკანასკნელი უფრო მოძრავი, ძლიერი და ლონიერი იყოს. ჯარში დისციპლინის აღსადგენად საჭიროა შიგნით სახელმწიფოში იქმნეს დაცული წესიერება. კორნილოვის მეთოდი უფრო დაარღვევს დისციპლინას. საჭიროა თვით ორგანიზაციის შექმნა ჯარის ორგანიზაციების დახმარებით. სიკვდილით დასჯა უნდა მოისპოს, რადგანაც ის დემოკრატიის ელემენტარულ სულ გრძნობებს ეწინააღმდეგება. ორატორს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია ოფიცერთა გკონიერული მდგომარეობის გუმჯობესება და ჯარისკაცთა ოჯახების თვის კეთილდღეობა. სოც. დემოკრატების გაერთიანებულ ფრაქციის სახელით ლიბერი კითხულობს მორიგ საკითხებზე გადასვლის ფორმულას, რომელშიაც ნათქვამია, რომ ჯარის საომარი ღირსების დაცვის მიზნები ესენი: ომის ხანგრძლივობა, სახელმწიფოს ეკონომიური რღვევა, ჯარისა და სარდლების შორის უნდობლობა, ჯარის კაცთა ხელმძღვანელების პოლიტიკური მოუმწიფებლობა, საგარეო და საშინაო პოლიტიკის სისუსტე. ჯარის აღსადგენად ფორმულას საჭიროდ მიაჩნია: ომის თავდაცვითი ხასიათის გამოაშკარავება, რაც შეუძლებელია, თუ არ იქნება შემოღებული მტკიცე ეკონომიური პოლიტიკა, დაუყოვნებლივ სიკვდილის დასჯის გაუქმება, დაუნდობელი ბრძოლა კონტრ-რევოლუციონერების დარბევებისა და მოძრაობების წინააღმდეგ, კვრძოდ საჩქაროდ უნდა გადავცეს სასამართლოს კორნილოვის და ბალსინგფორსში და ვიბორგში აფიცრების დახოცვის საქმე.

## რესპუბლიკის საგჯოს გარშემო

**საგარეო საქმეთა კომისია**

**პეტროგრადი.** ღვინ. 12. საგარეო საქმეთა კომისიაში შედიან: ვაჭარ-მრეწველთა ჯაუფებიდან ივანოვი, საზოგადო მოღვაწეთაგან მიხეევი და სტრუვე, კადეტებისგან—მილიუკოვი, ნაბოკოვი და ბარონი ნოლდე; ყაზახთა ფრაქციიდან ალექსეევი; ხალხის თავისუფლების პარტიიდან ზნამენსკი და იანუშკევიჩი, სოციალისტ-რევოლუციონერთაგან როზენბლიუმი, გოცი, ბულაცი, კოტლიაროვი, რიხტერი, მაინცი და შტეინბერგი, სოციალ-დემოკრატიისაგან (მენშევიკები) გურვიჩი, (დან) პეტრესოვი, სკობელევი და სოციალ-დემოკრატი ინტერნაციონალისტი ცეტერბაუმი (მარტოვი).

## ეროვნული საკითხი

**საშინაო ენის უზრუნველყოფა.**

**პეტროგრადი.** ღვინობისთვის 12. შინაგან საქმეთა სამინისტროს ეროვნულმა განყოფილებამ შეიმუშავა კანონპროექტი, რომელიც რუსეთის ერგებს ნებას მისცემს საქმართველო დაწესებულებებში საშობლო ენის ხმარებისას.

**პოლონელთა ეკონომიური დელეგაცია.**

**პეტროგრადი.** ღვინობისთვის 12. კონოვალოვმა მიიღო შთავარ ეკონომიურ კომიტეტთან დაარსებულ პოლონელთა ეკონომიური კომისიის დელეგაცია.

**ლიტველთა კონფერენცია.**

**სტოკჰოლმი.** ღვინობისთვის 11 გაშოქვეყნდა ლიტველთა სეიმის რეზოლიუცია. რეზოლიუცია გამოქანილია სეტტემბერში ქ. ვილნოში მიმდინარ სხდომაზე. რეზოლუციით ლიტველნი მოითხოვენ დამოუკიდებელ ლიტვის შექმნას და ვილნოში დამფუძნებელ კრების მოწვევას, რომელსაც ყველა ლიტველი უნდა დაესწროს. რეზოლიუციაში აღნიშნულია: თუ გერმანეთი აღგვითქვამს მომავალ კონფერენციაზე ლიტველთის ინტერესების დაცვას, ლიტველთა სეიმი თანხმობას განუცხადებს გერმანეთთან კავშირზე, რადგან ლიტვის ინტერესებს დასავლეთში უფრო კარგად დაიცავენ. გერმანეთმა ლიტვის თავისუფალ განვითარებას ხელი არ უნდა შეუშალოს.

## პოლონეთის დემოკრატიული ყრილობა

**პეტროგრადი.** ღვინობ. 12. პოლონეთის დემოკრატიულმა ყრილობამ დაადგინა, რომ რუსეთში მუდმივად მცხოვრებ პოლონელებს უფლება აქვთ დამფუძნებელ კრებაზე წარმომადგენლის გაგზავნისა. პოლონელმა დეპუტატებმა ფედერატიულ რეპუბლიკის იდეა უნდა დაიცვან. ომის გათავების შესახებ ყრილობამ დაადგინა, რომ პოლონეთის ბედის გადაწყვეტა მხოლოდ მაშინ იქნება სამართლიანი, თუ პოლონეთს სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადებდნენ და ზღვისაკენ გასავალს მისცემენ. ყრილობამ აირჩია დემოკრატიული კომიტეტი და პოლიტიკური საბჭო.

## უკრაინა და რუსეთი

**კრეისერის უკრაინიზაცია**

**სევასტოპოლი.** ღვინობ. 12. ბალტიის ფლოტის კრეისერის „სვეტლანას“ უკრაინიზაციისა და ცენტრალ რადისაგან დეკლარაციის მიღების გამო შავ ზღვაზე უკრაინული დროშები აღმართეს.

## ფინლიანდია და რუსეთი

**ფინლანდიის ეროვნული სენატი.**

**ჰელსინგფორსი.** ღვინობისთვის 12. პარტიულ ბელადებთან გენერალ-გუბერნატორმა მოლაპარაკება გაემართა იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია სოციალისტების მონაწილეობით ეროვნული სენატის შექმნა. ღვინობისთვის 11 გენერალ გუბერნატორი ინახულეს შვედელთა პარტიის წარმომადგენლებმა, ხოლო 12—ახალგაზრდა ფინების და ძველი ფინების პარტიის წარმომადგენლებს სოციალისტებთან მოლაპარაკება უკვე ჰქონიათ.

## ეკონომიური ცხოვრება

**ქარხნების მდგომარეობა**

**პეტროგრადი.** ღვინობ. 11. შრომის მინისტრის ცნობით ნიკოპოლ-მარიუპოლის ქარხნის ადმინისტრაცია ქარხანას ჰკეტავს ძალადობის, გამო რომელსაც ადგილი ჰქონდა ენკენისთვის 28-ში. იაროსლავში შჩეტინის ქარხანაში მუშებმა ორ ინჟინრის დათხოვნა მოითხოვეს. ცარიცინში 40 სახელოსნო ქარხანის მუშებმა და მოსამსახურეებმა ხელფასის მომატება მოითხოვეს.

**სათბობი მასალის სიმდიდრე**

**ხარკოვი.** ღვინობ. 10. დონეცის ოლქში მადაროებს სრულიად აღარა აქვთ სათბობი მასალა. გაძლიერდა აგიტაცია მადაროების ადმინისტრაციისა და მოსამსახურეთა წინააღმდეგ. რამდენიმე მადაროზე დაპატიმრებაც კი ხდება. მადაროებიდან მსახურნი გარბიან.

**წარმოების ორგანიზაცია შესდგა**

**პეტროგრადი.** ღვინობ. 10. გაიხსნა პეტროგრადის რაიონის საქარხნო კომიტეტების მე-4 ყრილობა. რეზოლუცია მოითხოვს მუშებისა და ფაბრიკების გლეხების შეერთებას კონტრ-რევოლუციონურ ბურჟუასთან საბრძოლველად და მრეწველობის აღსადგენად.

## უკანასკნელი დეპეშები

„ვეჩერნეე ვრემია“-ს თანამშრომლისთვის ტრეტიაკოს უთქვამს, ქარხნების პეტროგრადიდან გადატანას დიდი დაბრკოლებები ეღობება წინ. მანქანების გადაზიდვა და მუშების გადაყვანა ძნელდებაო.

—

„ნოვოე ვრემია“-ს ცნობით ხმები გავრცელდა, რომ მოკლე ხანში პეტროსინგფორსზე გერმანელები ფლოტს მგზავნიანო. მათ ი

მშობლის წილხვდომილი საქართველოს ეკლესია!

დიადი ბედნიერი ისტორიული დღეა მორწმუნე ქართველთათვის, რომ მოესწრნენ დგდა ეკლესიის განთავისუფლებას და მისი შელახული უფლებების კვლავ აღდგენას!

ჩვენც, სამესხეთოს ქართველ კათოლიკეთ, როგორც ღვიძლ შვილთ საერთო სამშობლოსი, გვიხარის ჩვენ ძმათანა და დიდის კმაყოფილებით ვიზიარებთ შთას შვება-ლხენას.

აღფრთოვანებული სიხარულით გულწრფელ სალამს მოგიძღვნით, მოკრძალებით მოგილოცავთ საქართველოს კათოლიკოს მამათმთავარს და სიმდაბლით ვითხოვთ თქვენი უწმიდესობის ლოცვა-კურთხევას. ვისურვებთ თქვენს დღეგრძელ მრავალეამიერ ცხოვრებას საყვარელ საშობლოს საკეთილ-დღეოდ. შვენთხოვთ უზენაეს ყოვლის მპყრობელ დვრთას მოკანიკოს ძალა და მხნეობა, რათა ღირსეულად უწინამძღვროთ საუკუნოებით გაწამებულ სამწყსოს! დიდად სანატრელია, რომ კათოლიკოსთა ხელმძღვანელობით და სამღვდელოთა მხნე მოღვაწეობით აღმაღლდეს და გაბრწყინდეს ივერიის ეკლესია ისევე, როგორც იყო ადმაღლებულ გაბრწყინებული წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის დროს; რათა მსოფლიო ეკლესიაში კიდევ საპატიო ადგილი დიკჭირის, სადიდებლად ღვთისა სასიქადულოდ და საკეთილ-დღეოდ ქართლოსიანთა, ამენ.

სამცხე-ჯავახეთის ქართველ კათოლიკეთა სათვმო კომიტეტის წევრნი.
1 ოქტომბერი 1917 წ.
ქ. ახალციხე.

—

## მილოცვა არტაანიდან

სრულიად ივერიის კათალიკოს-პატრიარქს კირიონ მეორეს.

ძველ საქართველოში მყოფი მართლმორწმუნე ქართველი სიხარულის ცრემლის დენით ეგებებები და მასთან ერთად ვულოცავ ჩვენს ქართველ ერთან ერთად მრავალ ტანჯულ-წამებულ სამშობლო ქვეყანა საქართველოს ეკლესიას იმ ფიდიდესი ბედნიერება-პატრიარქობას, რომელიც მოეფინა მას თქვენის სახით, მწყემსთ-მთავარო, მიიდე სამწყსო ესე გაძარცული, ვითარცა ქრისტემ ჯვარი თვისი გოლგოთაში ადასაბრთავად და იმედია, მეუფეო, რომ თქვენი სამწყსო: სიონი, მცხეთა და გელათთან ერთად ჩამოირეკება იმ მიგიწყებული საკუთნდიდელო მარტვილის ხარიც, რომელის საძირკველი ჩაჰყარა ქრისტეს მოციქულმა ანდრია პირველ წოდებულმან და იქავე მანვე აღამაღლა ჯვარი პირველი ქრისტიანობისა და ხე აქ ვახარებ ვეღისცხის ეკლესიაში ნოფენილ ჩვენის მაცა-პაპათა ძვლება თქვენს არჩევას და მით საქართველოს ეკლესიის განთავისუფლებას, რათა განცხრომით განისვენონ.

კ. ოდიშარია

# შიმშილი

თუ დღემდე ჩვენს პრესაში შიმშილ-ადგილობრივ ბოლოდ, რომ ამიერ-კავკასია და კერძოდ ჩვენი დედა-ქალაქი თბილისი შიმშილობის წინ სდგასო, დღეს ეს შავ-ბედითი მოლოდინი ფაქტად იქცა. საუბრსათვის მდგომარეობა არ გაუჯობესდა, დემოკრატიულმა ქალაქის გამგეობამ წაქცეული ურმები ვერ ააყენა და შიმშილის აჩრდილი მოვლინა მცხოვრებლებს.

თუ რა საშინელებაა შიმშილი, თუ როგორ სასოწარკვეთილებაში ვარდება ადამიანი მის გახელენებაზე, ეს თბილისმა და მიმა მცხოვრებლებმა გუშინ გაიცადა. მთელი დღე ფურნეების წინ ხალხი ვერსიან კუდებით იკლაკნებოდა და ფერ-მკრთალი სახით შესცქეროდა „ღუმეს“ კარებს.

ერთი ფურნიდან მშიერი ხალხი მეორე ფურნეში გადარბოდა, მაგრამ პური იშვიათად თუ ვისმეს ერგებოდა.

აღსანიშნავია თუ შიმშილობის პირველ დღეს ხალხმა წესრიგი დაიცვა... მაგრამ ისიც უნდა ითქვას რომ ეს წესრიგის დაცვა მხოლოდ ფორმალური იყო... თუ რას ჰფიქრობს შეუგნებელი ბრბო ღღეგანდელ ძმენტზე, თუ რა სუსტია ხალხში გარდამავალი ხანის შეგნება, თუ როგორ აქვს ხალხის თვალში ნდობა დაკარგული ქალაქს გამგეობასაც, სასურსათო კომიტეტსაც და სხვა დემოკრატიულ დაწესებულებასაც, ესეც ისევ გუშინ გამოჩდა.

ხალხის ჩვილს საზღვარი არ ჰქონდა... ალბად ნაპოლეონიც მართალი იყო, როდესაც ბშიერი ხალხის ბრბო უფრო სასტიკ მტრად მიაჩნდა, ვიდრე ბრძოლაში ნაცადი შეიარაღებული ჯარი.

რუსეთის რევოლუცია მშიერმა ბრბომ დაიწყო, მშიერმა ბრბომ დაანგრია თვითმპყრობელობის საძირკველი და წითელი დროშაც მშიერმა ბრბომ აიფრიალა. ყოველი ღონე უნდა იქნას მიღებული უბედურების თავიდან ასაშორებლად, თორემ ხშირად მომხდარა რევოლუციის დროს ისეთი მაგალითი, რომ მშიერ ბრბოს დიდი, საშვილიშვილო საქმე წუთიერ განცდაზე გადაეყიდოს.

როგორც გამოირკვა, თბილისში დღეიდან სასურსათო მდგომარეობა დღითი-დღე დაეგვლახების გზას დაადგება. დიდი ხანია რაც თბილისს ფქვილის მინიმუმი არ უნახია... საჭიროა 6 ვაგონი, საშუალოდ დღეში 3 ვაგონი მოდის... ამრიგად, ხალხს ეძლევა იმის ნახევარი, რაც მისი არსებობისათვის მინიმუმია... ესეც არ ჰკმაროდა. სამხედრო ნაწილმა ზედმეტი მუშტარი შეჰმატა თბილისის საქალაქო სასურსათო კომიტეტს. დღემდე ჩამოსული ჯარისკაცები სურსათს სამხედრო ნაწილებიდან იღებდნენ, ღღეგანდან კი სამხედრო ნაწილმა ხელი დაიბანა მათ გამოკვებაზე და მშიერ მცხოვრებლებს ზედმეტი მშიერი წევრები შეჰმატა. ამას დაერთო კიდევ სხვა რამ: თბილისის ახლო-მახლო სოფლელებმა კატეგორიულად განუცხადეს ქალაქის გამგეობას, თუ მათ არ დაურიგებენ პურის ბარათებს და ამ სოფელთა მცხოვრებლებს საშუალებას არ მისცემენ თბილისის, ფურნეებიდან პურის აღებისას, მაშინ მათ შიმშილით სიკვდილი ელით... რა ექნა ქალაქს გამგეობას? ძალა აღმართსა ჰხნავს, და იძულებული შეიქნა ეს მშიერი სოფლელებიც შეეკვეშირებინა ისევაც დამშეულ თბილისის მცხოვრებლებთან. მაგრამ ამან არ იკმარა... ჩრდილო და ამიერ კავკასიის ანტაგონიზმმა უმაღლეს წერტილს მიაღწია. ჩრდილო კავკასიაში რუსეთის ინტერესებს უფრო მეტი ანგარიში გაუწიეს ვიდრე ამიერ კავკასიისას და განაპირა ქვეყანა შიმშილის ანიბარად დასტოვეს.

ეს ალბად კარგად იგრძნო ამიერ-კავკასიის გუბერნიების სასურსათო კომიტეტების თავმჯდომარემ ბიჩმა, რომელიც დაბოლოს იძულებული იქნა სამსახურს გასცლოდა. დასასრულს, ამანაც არ იკმარა. ეს სამი დღეა თბილისი ხორბალს ღებულობს ფქვილის მაგიერ. ეს კი უკანასკნელი ფაქტი იყო „წინა შიმშილის“ პერიოდისა და გუშინდელ დღიდან თბილისში შიმშილობა დაიწყო. ეგრედ წოდებულნი ბედნიერნი, ესე იგი ისინი, ვინც პურის აღებას ასწრებენ, დღეში ულუფად ნახევარ გირვანქას იღებს, ხოლო ეგრედ წოდებულნი „უბედურნი“ ბშიერი დარჩნენ. ჯერ კიდევ არაფერი ვიცი ბევრი, რომელნიც ხილეულობით იკლავენ ჯერ-ჯერობით წყურვილს... მაგრამ ხვალ რა იქნება, არავინ არ იცის, მხოლოდ ერთი ბოკარა თბილისის და ამიერ-კავკასიის ჰორიზონტზე შიმშილის აჩრდილი გამოჩნდა და ზეადამიანური გამჭრიახობაა საჭირო, რომ მისი საშინელება ისევაც დაბეჩავებულ ხალხს თავს არ დაატყდეს.

მ. ხაირხელი.

## აფთიაქების მუნიციპალიზაცია

25—28 აგვისტოში პეტროგრადში მიწვეული იყო, იქაურ მოსამსახურე ფარმაცევტთა კავშირის თაობით, სრულიად რუსეთის მოსამსახურე ფარმაცევტთა ყრილობა, რომელმაც გამოიტანა დასკვნა თანამედროვე აფთიაქების სახის და მდგომარეობის შეცვლის შესახებ. ყრილობამ დიდი ხმის უმეტესობით მიიღო პროექტი კერძო აფთიაქების მოსპობისა და მისი გამუნიციპალიზაციებისა.

ჩვენ სიხარულით ვეგებებით ასეთს ნაბიჯს და აი რატომ: წინად საჭირო იყო რომელიმე ქალაქის უბანში ან დაბაში ან სოფელში გახსნილიყო აფთიაქი ხალხის საჭიროებისათვის და ამ ალაგას ორი ან სამი კაცი ფარმაციის მცოდნე, ან არ მცოდნე თხოულობდნენ პრივილეგიას. საჭირო იყო რამდენიმე საათით ადრე მისულიყო ერთი მთხოვნელთაგანი, რომ ეს უპირატესობათ ჩასთვლოდა და თუ კი სხვები არაფრით არ იყვნენ ამაზე დირსეული, თხოვნა პირველის დაკმაყოფილებულიყო; ან სანამ ამათ შესახებ უპირატესობის ღირსებას გამოიკვლევდენ სოფელი ან უბანი რამდენიმე წლით დარჩენილიყო უწამლოდ, ბოლოს კი ისევ მიხვრები მიიღებდა, თუ ის მიხვრხებული კაცი იყო და ჯიბე და გუბერნიის საექიმო განყოფილება სწყალობდა. სხვა მთხოვნელები რაც უნდა დირსი ყოფილიყვნენ, ხელცარიელი ბრუნდებოდენ და მიმღებს რჩებოდა მაღელი უბანი, ქალაქი ან სოფელი საყვლეფად და სატყუებლად.

მცხოვრებლები იძულებულნი იყვნენ ამ აფთიაქიდან ეყიდათ წამალი მთავრობასაგან დამტკიცებულ ნიხრზე და ყოველივე კონკურენტი ამ მეაფთიაქის იდგენიზოდა სისხლის სამართლით.

ამით გათამამებული მეაფთიაქე დამშვიდებით ივსებდა ჯიბეებს დარწმუნებული, რომ მის საბრძანებელში მეტოქეს ადგილი არ ჰქონდა. კანტროლი აფთიაქების არსებული კანონმდებლობით აქვს მინდობილი საგუბერნიო ექიმს ან მის თანაშეწყვებს, იმავე ექიმს, რომელიც არამკითხე მზრუნველია აფთიაქისა და საუკეთესოდ ფარმაციის.

ფარმაცია არის ისეთი მეცნიერება რომელსაც ჰყავს თავისი მიმდევრები და ექიმებს ამაზე ეფუძნებოდენ ფარმოდგენაც არა აქვთ. არც არიან ეს უკანასკნელნი შოვალე ამის ცოდნისა ვინაიდან ეს მათ არ ეკითხებოდ ხვეცილად. ხოლო ის ზეგრეულ ნაცნობობა ამ მეცნიერებისა, რომელსაც მათ სამედიცინო პროგრამა აძლევს, არამც თუ მთლად ვერ ამოჰკრებს ამ საგნის შესწავლას, მიახლოვებითაც ვერ აცნობს ფარმაციის ან—ბანს. უმეტესობა იმ წამლებისა, რომელსაც ექიმები ავადმყოფებს უწერენ, მათვის (ექიმებისთვის) გაუგებარია არამც თუ მით—რისგან ან როგორ წარმოდგა ესა და ეს წამალი, არამედ ფერითაც და გემოთაც კი. ნურაფერს ვიტყვით წამლის შეზავებაზე, მის ქიმიურ შერეთებაზე, რის ცოდნის შოვალე სრულიათ არ არი ექიმი. ამის გამო მიღებულია რომ მეაფთიაქეს რამოდენიმე ფლით ადრე აფიციალად აცნობებენ: განძრახულია თქვენი აფთიაქის გაშინჯვა. რასაკვირველია გასასინჯი აფთიაქი სუფთავდება წლობით თავნაყარ მტვერისაგან, საეჭვო წამლეულობა აფთიაქიდან დროებით იხიზნება რომ გაშინჯვის შემდეგ ისევ აფთიაქიდან ავათმყოფს დაუნაწილდეს სუფთად და კოხტად მოხატულ-მოვარაყებულ ქალაღლის ყუთებში და შეფურჩქნილ შუშებში. გაშინჯვის ოქმს მოხელე ექიმი და სვინდისიერი მესაკუთრე ორივე ხელს აწერენ, რომ „ყოველისფერი რიგზეაო“ და რამდენიმე ოთახი სავსე წამლებით, მის გასინჯვას კვირეებიც არ ეყოფათ რომ კეთილ სვინდისიერად წარმოებდეს საქმე, იშინჯება ერთს ან ორს საათის განმავლობაში, რომელ დროსაც მშინჯავი და მესაკუთრე კაბინეთში ატარებენ მუყდროდ დროს.

მაშასადამე ამისთანა კეთილსვინდისიანი კანტროლი და მესაკუთრე, რომელიც იმაში უფროა დაინტერესებული რომ გარეგანი შეხედულობა ყუთებ-ბურჭლეებისა უფრო მომხიბლელი იყოს ვინემ შიგ მდებარე წამლების სავარგისობა და გარეგან ხატვის გასაუჯობესებლად მეტს ხარჯავს ვინემ წამლებს უმჯობესობაში, თუ რა სარგებლობას მოუტანს ესეგზლებას წამლების მოხმარებელს ამაზე ლაპარაკიც მეტია.

ყოველივე სამართლიანი მოთხოვნილება წამლის მოხმარებლისა ან საყოველთაო წამლის უვარგისობაში რჩება ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა. ეგვეა წამლის ფასის და ნიხრის შესახებაც რაც ერთვითარ კომერციულ ანგარიშს პროცენტების მოგების მხრით არ ეკვემდებარება და მტკიცდება მთავრობისაგან იმ სახით, როგორითაც მას მეაფთიაქეები ადგენენ.

იმიტომ, რომ ეგ საგანი, ე. ი., ფარმაცია არის მხოლოდ მესაკუთრის საიდუმლო მეცნიერება, რომელსაც ვერც წამლის მომხმარებელი და ვერც კანტროლი ვერ იგებს, ამით, პასუხისუგებლობის გამო, მეაფთიაქის სვინდისზეა დამოკიდებული როგორც წამლის ავ-კარგობა, ისე მისი ნიხრი და მოგების რაოდენობა. არსებული კანონით მეაფთიაქეს აქვს უფლება მოიგოს წამალზე 50-დან 200 პროც.-მდი. თუ ამას მიუმატებთ იმ გაუმაძღროების ფინს, რომელსაც ახლა იჩენენ საყოველთაოდ ყოველივე დარგის ვაჭრები, გასაკვირველი არ იქნება თუ რად დაიმსახურა საყოველთაოდ, აფთიაქმა მყვლეფელ-მცარცველის წოდება. ვინ არ გეტყვის, რომ აფთიაქში წყალს ჰყიდიან და, უზომოდ იყვლიფებიან სნეულებით.

ეხლა შინაგანი წყობილება ალბრდისა და ცოდნის მიცემის მხრით, რის მოვალეც არის აფთიაქი, როგორც სკოლა და მისი პატრონი, როგორც აღზრდელ-მასწავლებელი.

ყველა ფარმაცევტს თავისი საუკეთესო ახალგაზრდური წლები კერძო მესაკუთრის გამდიდრებისთვის შეუწირავს, და მაგიერად კი იმ სამი წლის განმავლობაში, რომელსაც ის აფთიაქის მოწაფეობაში ჰკარგავდა, არავითარი ცოდნა არ შეუძენია; პირიქით, ისიც დაუკარგავს, რაც იქ შეუტანია, რადგან 3 დღის განუწყვეტელი მუშაობის შემდეგ მეოთხე დღის ნახევარს სულ ძილში ატარებდა. ეხლანდელი ორი რიგით მუშაობის შემდეგაც იმდენად დაქანცულია, რომ თუ რიგორ მოიხმაროს თავისუფალი დრო ვერ ხვდება.

რას წარმოადგენს ეხლანდელი აფთიაქის მოწაფე ცოდნის მხრით ან იძენს აფთიაქში რამეს? სრულიად არაფერს. ის, რასაც მას აფთიაქში აკეთებინებს კერძო მესაკუთრე, თამამად შეუძლიან გააკეთოს უბრალო ბავშვმა წერა-კითხვის მცოდნემ. და სამი წლის შემდეგ ერთნაირად შეუძლიანთ ორთავეს მეცნიერების ნიშანი მიიწერონ.

ეს მოწაფეობა, რომლისათვის ცნობილი ცვნნია საჭირო, არ იძლევა არავითარ საბრძოს არც ტვინისთვის და არც სულისთვის, პირიქით ამახინჯებს და ჩლუნგავს ყოველივე მისწრაფებას სწავლისადმი. ტერმინი „აფთიაქის მოწაფე“ ისე არ შეესაბამება მის მნიშვნელობას, როგორც ექიმი მზრუნველი და კანტროლი აფთიაქისა.

ცოდნის შეძენის მხრით ყოველი ნოქარი უკეთეს პირობებშია, ვინემ აფთიაქის მოწაფე; მით, რომ ნოქარმა სხვა თუ არა—ფაბრიკის მარკა და საქონლის ხარისხი მაინც იცის—მოწაფემ, სამი წლის მუშაობის და „სწავლის“ შემდეგ, ორ გროშად და, ხშირად კი, პირიქით, მეაფთიაქეს უნდა მისცეს რამოდენიმე ასი მანეთი, გარდა თავის მუქთი შრომისა, რომ ის მან გაანათლოს და თანაშემწედ გახადოს აფთიაქში ჩაწერის წყალობით,—მისგან გაშვებული წამლის გამკეთებელის ვინაობაც არ იცის, არამც თუ მარკა, ან ფერი, ან გემო, ან ხარისხი. იმიტომ, რომ წამალი ას-ნაირ ფერად ქალაღლდებშია შეფურჩქნილ-გახვეული და მოწაფემ მექანიკურად ხხოლოდ სახელი-და იცის.

ამ პირობებში გატარებული 3 წლის შემდეგ, ის იძენს თანაშემწის წოდებას, ისეთი ეგზამენის წყალობით, რომლისთვის სამი კვირის დახარჯვაც მეტია. ამა როგორ მომზადებულ ფარმაცევტს იძლევა ეხლანდელი კერძო აფთიაქი, ეს მისახვედრად ადვილია.

ასეთია დღეს კერძო აფთიაქი, როგორც დაწესებულება შემამსუბუქებელი სნეულთა ტანჯვისა და როგორც სკოლა განათლებისა და ცოდნისა.

ზემო მოყვანილი მიახლოვებითაც ვერ ნუსხავს მის უარყოფით მხარეებს, მაგრამ, რაც ვთქვით, ესეც საკმარისია მისი მოსპობისათვის.

კ. ბაკრაძე.
(დასასრული იქნება)

## გერმანეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია ომის ხანაში

გერმანელთა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის (უმრავლესთა) გამგეობის ანგარიშში, რომელიც ვიურცბურგის მე-15-ე პარტიეტაგისთვისაა შედგენილი, მეტად საყურადღებო ცნობებია მოთავსებული პარტიის მდგომარეობის შესახებ.

1914 წლის ანგარიშში პარტიის გამგეობა სიამაყით აღნიშნავს, რომ პარტიის წევრთა რიცხვი ორ მილიონს აღწევსო. მართლაც 1914 წელს მარტში პარტიის ორგანიზაციაში შეიდიოდა 1.985.905 წევრი.

ახალ ანგარიშით კი ვიგებთ, რომ მიმდინარე წლის მარტში პარტიის წევრთა რიცხვი 243.061-ღა უდრიდა.

პარტიის წევრთა რაოდენობის ასეთ შემცირებას მიზეზად გაუხდა ომი და პარტიული განხეთქილება.

მამრობით სქესის პარტიულ წევრთა 75 პროცენტი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. პარტიულ განხეთქილებას ადგილი ჰქონდა გროს-ბერლინის, ლაიპციგის, ფრანკფურტის ოლქებში, აღმოსავლეთ პრუსიაში, პიდერჰაინში, ბრაუნშვეიგში გალლეში, ერფურტში და გროსტიურინგში. ხსენებულ ადგილებში „უმრავლესთა“ ორგანიზაციებს დღითი დღე აკლდებოდნენ წევრები. დანარჩენ ადგილებში დამოუკიდებელ სოციალისტ პარტიას ნაკლები გავლენა აქვს.

ომამდის 1915 წელს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში 174,754 ქალი ითვლებოდა. 1917 წლისათვის კი მხოლოდ—66,608.

ამის მთავარ მიზეზად დამოუკიდებელ პარტიის დაარსება ჩაითვლება.

ასეთი შედეგები არ გაგვიკვირდება თუ სახეში ვიქონიებთ ისეთ ენერგიულ მოღვაწეებს და მშვიდობისა და ინტერნაციონალისათვის მებრძოლ ქალებს—როგორნიც არიან როზა ლიუქსემბურგი, კლარა ცეტკინა და ლუიზა ციცი.

თავისუფალ პროფესიულ კავშირებში 1913 წელს 2.310,000 წევრი ითვლებოდა; 1916 წელს მათი რიცხვი 837,500-მდე შემცირდა.

ომის წინა წლის განმავლობაში 1913 წლის აპრილის პირველიდან 1914 წ. მარტის 31-მდე პარტიულ კასაში შემოწირულება 1.405,000 მარკას უდრიდა. 1916 წლის აპრილის პირველიდან 1917 წ. მარტი 31-მდე კასაში მხოლოდ 583,000 მარკა ჰქონიათ.

ომის ხანაში სოციალ-დემოკრატიულ გაზეთების რიცხვიც შემცირდა. წინათ თუ 110 გაზეთი გამოდიოდა ეხლა 80 გამოდის. ხელის მომწერთა რიცხვი 48 პროცენტით შემცირდა; 1.488,000 ხელის მომწერიდან 763,000-ღა ჰყავთ.

## კორესპონდენცია

### ჯავახეთიდან

რევოლუციას ერთი ძვირფასი თვისება აქვს. გარდა იმისა, რომ იგი პოლიტიკურ ცხოვრებას გარდაჰქმნის და აუჯობესებს ასე თუ ისე ხალხის ცხოვრებას, ხალხის მოძრაობის გამძარჯვებით დათავება ერთგვარ სულიერ განახლებასაც იწვევს ხალხის პსიხიკაში და, მე მგონია, ამ ცვლილებას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თვით პოლიტიკურ ცვლილებას, რომელიც რევოლუციამ მოახდინა. რევოლუციის შემდეგ ხალხი ახალ ქერქში სდგება. გუშინდელს აღარა ჰგავს. რევოლუციის მიერ აჩქარებულია მაჯისცემა. ამოქმედებული ენერგია, თუ წინად პოლიტიკურ გადატეხის მოხდენისაკენ იყო მიმართული, ეხლა იგი ნელ-ნელა შემოქმედებითი მუშაობას ეთვისება. აქედან იწყობა ახალი ცხოვრების ახალი კულტურა.

ასეთი აზრები მიტრიალებდა თავში, როდესაც ვმოგზაურობდი ამ რევოლუციონურ ხანას სამხრეთ საქართველოში.

საერთო შთაბეჭდილება აქაც, როგორც „კურთხეულ“ რუსეთის სხვა კუთხეებშიც, ცოტად თუ ბევრად ხალხი შეუდგა შემოქმედებითს მუშაობას. მე ამას ვამბობ უფრო რუსეთის ეგრედ წოდებულ ჩაგრულ ერთა შესახებ.

მთელ სამხრეთ საქართველოში, რომელ ქალაქსა თუ დაბაშიაც უნდა შეხვიდეთ, ყველგან შეხვდებით სომხთა ეროვნულ პარტიების ადგილობრივ ორგანიზაციებს, ამათ გვერდითვე მოქმედებენ სოციალ-დემოკრატიული საგანმანათლებლო, საქველმოქმედო საზოგადოებანი.

ეგზისტენცია სოფლად პარტიული მოქალაქეებისა, ხალხში ეროვნული შეგნების განსამტკიცებლად და მისი ორგანიზაციულად დარაზმ სათვის, რათა საჭირო დროს იგი მზად იყოს არამც თუ პოლიტიკურ, არამედ, თუკი საჭირო გახდა, სხვა გამოსლისათვისაც. ვინ იცის ხვალინდელი დღე რას მოიტანს? ყოველ შემთხვევისათვის...

ამავე დროს ხალხში საქველმოქმედო და საგანმანათლებლო საქმიანობით ხალხში ნდობას ჰპოულობენ და თვითონ ძალას იკრებენ—ლონიერდებიან.

მაგრამ ძალის მქონეს, თურმე, თავდაჭერილობა უფრო მეტი მოეთხოვება. ამის შეგნებას ცოტა ვუყუჩობდი წინად, მაგრამ ეხლა ამას წინ დახლიცხესა და ახალქალაქში მოხდარ არჩევნების დროს დაწესაკელების, მეორე სოციალურ ეროვნულ პარტიისა, ესერებისა და ეს-დეკების საქციელმა კი დამარწმუნა საბოლოოდ: ძალის მქონე დღე და ღამ უნდა ჰფიქრობდეს, რომ ძალიერების შეგნებამ სული არ წაძღლევინოს და რაიმე ბოროტება თუ არა, უტაქტობა მაინც არ ჩადენინოს.

ხსენებულ არჩევნებზე ხსენებულ პარტიების წარმომადგენლები დადიოდნენ და მცხოვრებთ ძალით უწყობდნენ ჩანთებში თავისი პარტიის ბარათს. ბოლოს კი დაზარალდენ ქართველი მეჰმადიანები და მართლმადიდებელი არა სოციალისტი ქართველები, რადგანაც ერთ პარტიას მილიცია ეხმარებოდა, მეორეს რეალური დარაზმული ძალა დ გამზგრებული წელი, მესამეს ჯარი და ერთმანეთს რომ ვერაფერი დაეკლეს სამივემ ქართველების წინააღმდეგ გალაშქრეს, დაეაზარცხეს და ხომ მოგეხსენებათ, „გამარჯვებულებს არავინ სჯის“.

არ შეგიძლია აქ არ მოგიყვანო ერთ-ერთ [illegible] გადმოცემის ხიბლი [illegible]. ეს ამბავი საუკეთესოდ ჰმოწმობს, თუ რამდენად უნდა ფრთხილობდეს ძალის მქონე. სოფელ ხიზამბავრაში, სადაც ადმასრულებელ კომიტეტის უმრავლესობას თეორიულ დაშნაკელები შეადგენენ, დაუწესებიათ, რომ ქართველებმა სოფელზე გადასასვლელ კაზეზე, ხარზე და ძროხაზე და ცალიერ ურემზე უნდა გადაიხადონ 10 შაური, დატვირთულ ურემზე—3 მან. ქართველ გლეხებისათვის უთქვამთ ეს კომიტეტის სასარგებლოდ არისო, მაგრამ ის ვერ გაუგიათ ალმასრულებელი კომიტეტის სასარგებლოდ, თუ დაშნაკელების პარტიის სასარგებლოდ.

საყურადღებოა კიდევ ერთი მოვლენა: ქ. ახალციხეში წელს ბევრი კართოფილი მოვიდა. ალექსანდროპოლიდან ჩამოვიდნენ ცნობილ ხატისოვის კაცები, მოუყვეს ხელი და, რაც კართოფილი იყო სულ ერთიანად შეისყიდეს. ეხლა კი ახალციხეშივე მამასისხლად იყიდება კართოფილი.

სადაა სასურსათო კომიტეტი?!

მაგრამ, ეს ბევრი რამ არის ამ კურთხეულ მხარეში და ერთ წერილში ყველას, რა გინდ ეცადო, ვერ ჩამოთვლი.

შ. დროებით ჯავახელი

რედაქტორი ბრბოლ ბეშაპელი.


## კალენდარი

### კვირა, ოქტომბრისთვის 15

კვირა 21. ხმა 4.

ქართვ. ლირს. მამისა ჩვენისა ეფთიმე ახლისა; წმ. ლირსისა მოწამისა ლუკიანე ხუცისა და დიდისა ანტიოქიისა.

კათოლ. წმ. იადვიგასი.

მაჰმად. ექ-შაბბე 12 რ. ნუხარამ 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. ივრიშონ 12 რ. ხეშვანისა 5678 წ. ქვეყნ. შექმ.

### ოქტომბერი, ოქტომბრისთვის 16

ქართვ. წმ. მოწამისა ლონგინოს ანისთველისა, რომელი იყო წინაშე ჯვრის წმ.

კათოლ. ფლორენტინასი.

ხომგ. პოფნა ნაწილთა წმ. გრიგორი ღვთიანის ქათალიკოსისა.

მაჰმად. ექ-შაბბე 13 რიც. მუხარამ 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. ივრიშონი 13 რ. ხეშვან 5678 წ. ქვ. შექმ.

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

### ადგილობრივი მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია ოფიციალური)

ბათუმისკენ სად. № 5, 11.32 დილ.
„ სანგ. № 9, 11.28 სად.
ბორჯომისკენ სანგ. № 19, 8, 17 ...
„ „ № 17, 8.19 ...
ბაქოსკენ ჩქარ. № 8, 9.51 ...
„ სად. № 4, 6.46 ...
ყარსისკენ სანგ. № 6-8 12.15 ...

### ოდესიდან მოდ.

მოიდან სანგ. № 10, 8.32 ...
„ სად. № 4, 7.41 ...
ბაქო-ბორჯ. სანგ. № 20, 1.47 ...
„ სანგ. № 18, 9.59 ...
ბაქოდან სად. № 8, 10.26 ...
„ ჩქარ. № 5, 10.30 ...
ყარს-ჯულფ. სად. № 3, 7.53 ...

ექიმი
## ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საადამოოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ალიაშნიკით (სიფილისი) (606-ს და 914-ს წესწაპენება) ავადმყოფებს. მისეულის პროსპექტი № 116.
(თ—703—38)

ექიმი
## დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საადამოს 5-დან 7 სათამდე.
გუნიბის ქუჩა № 41
თ—719—32


ტფილისი „ცხოვრება“ ასლან ყალანდაძისა გამოცემის შესახებ № 4

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო“